

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს,
ბატონ გიორგი შალუტაშვილს

ბატონო გიორგი,

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების
სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების N32060202/01/92 (08.06.2016) თანახმად
წარმოგიდგენთ აუდიტის დასკვნას ქ. თბილისში წერეთლის გამზ. 134-ში მდებარე
კოლეჯის „თბილისის ხელოვნების კოლეჯი“ ძირითადი და საწარმოო კორპუსების
სადემონტაჟო ღირებულების შესახებ.

პატივისცემით,
დავით რობაქიძე
აუდიტორი
13.06.2016



საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული სამსახურის საბჭო

ინდივიდუალური აუდიტორი დავით რობაქიძე

ლიცენზია ზ. №159 (30.06.2000 წ.) მის.: თბილისი, ვარკეთილი-3, II მკ/რ-ნი, 15-87

E-mail: davidrobakidze1956@gmail.com ტელ.: 599 30 15 84; 2 79 84 40

№027/1-0 დ.რ.

13 ივნისი 2016 წ.

აუდიტის დასკვნა

სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის ღირებულების შესახებ

ინდივიდუალურმა აუდიტორმა დავით რობაქიძემ (პ/ნ 01013024727) სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან“ (ს/ნ 202294980) გაფორმებული ხელშეკრულების (№32060202/01/92, 08.06.2016 წ.) საფუძველზე, მოვახდინე სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების დათვალიერება-შემოწმება მათი ამჟამინდელი რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების დათვალიერება-შემოწმებისა და მათ შესახებ არსებული დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ გათვალისწინებულია მოხდეს დემონტაჟი ქ. თბილისში, წერეთლის გამზირი №134-ში არსებული (პროექტული სასწავლებელი თბილისის ხელოვნების კოლეჯი) შენობა-ნაგებობების, კერძოდ კი ხელოვნების კოლეჯის ძირითადი და საწარმოო კორპუსების. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სსიპ-ს შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი დამუშავებულია სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ და პროექტი შედგენილია სამშენებლო ნორმებისა და წესებისა და სამშენებლო უსაფრთხოების ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტაციის საფუძველზე. ამ პროექტის შესაბამისად სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე ზედამხედველობას განახორციელებს თვით სააგენტო. ამ შენობა-ნაგებობების ტრექნიკური მდგომარეობისა, მისი შემდგომი ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარობისა და დემონტაჟის აუცილებლობის შესახებ დასკვნები მომზადებულია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ მიერ.

შენობა-ნაგებობების ვიზუალური დათვალიერება-შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ როგორც ხელოვნების კოლეჯის ძირითადი, ასევე საწარმოო კორპუსი მოთველებულნი არიან, წარმოადგენენ დანიშნულებისამებრ გამოუსადეგარ ქონებას. ისინი აშენებულნი არიან წინა საუკუნეში ათეული წლების წინ და ძირითადი კორპუსი უფრო ხანდაზმულია, ვიდრე საწარმოო კორპუსი. შენიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ, როგორც ჩანს, კოლეჯის ძირითადი კორპუსი საწყის ეტაპზე წარმოადგენდა ორსართულიან შენობას და შემდეგ ცოტა მოგვიანებით

მოხდა მასზედ მესამე სართულის დაშენება. შესაბამისად ძირითადი კორპუსის პირველი-მეორე სართულის კედლები ნაშენებია ტუფის ქვით და მისი პირველი და მეორე სართულის იატაკი მოწყობილია ხის კოჭებით, რომელზეც ზემოდან ფიცრის იატაკი იყო ძირითადად, დაშენებული მესამე სართულის კედლები ნაშენებია წვრილი სამშენებლო ბლოკით და, როგორც ჩანს, მესამე სართულის იატაკი და ჭერი მოეწყო განსხვავებულად, კერძოდ კი მათ საყრდენებად გამოყენებულია 2T-სებრი ლითონის კოჭები. ძირითად კორპუსს სართულების ბოლოს კედლების თავზე მოწყობილი აქვთ რკინა-ბეტონის სარტყელი. საწარმოო კორპუსი კი წარმოადგენს ერთსართულიან კაპიტალურ ნაგებობას, რომელიც საამქროს ტიპისაა და მისი შიგა სივრცე მოწყობილია რკინა-ბეტონის სვეტებზე დაყრდნობილი რკინა-ბეტონისვე კონსტრუქციებით (ფერმა, რიგელი, გადახურვის ფილები და სხვა). საწარმოო კორპუსი გადახურულია ე.წ. ПКЖ-ებით და შუა სივრცეში (12 მ-ს სიგანეში) ეს ფილები დაყრდნობილია რკინა-ბეტონის ფერმებზე, ხოლო გვერდებში (6 მ-ის სიგანისაში) დაყრდნობილია ლითონის 2T-სებრ ძელებზე. საწარმო შენობის იატაკი მიწის დონეზეა და იატაკად აქვს ბეტონის მოჭიმვაზე მოწყობილი ბეტონისვე მოზაიკური ფილები.

სადემონტაჟო შენობების ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა ის ფაქტიც, რომ გარკვეულ ეტაპზე დაწყებული იყო მასში (ძირითად კორპუსში) სარემონტო სამუშაოები და ამის გამო შიგა მხრიდან (მესამე და მეორე სართულის ფართების ნაწილში) გამიშვლებულია კედლები საფარისაგან. გარკვეული მიზნით მოხდენილია ასევე ძირითადი კორპუსის სახურავის დემონტაჟი და დარჩენილია მხოლოდ მესამე სართულის ჭერის ელემენტები. ასევე მოხსნილია მესამე სართულის იატაკი და მესამე სართულის იატაკი დარჩენილია დასუსტებული სახით რკინის 2T-სებრი კოჭებით და მათში ქვემოდან ჩამაგრებული ხის ფიცრის ნაჭრებით.

ზემოაღნიშნულის გამო, ამ შენობის დემონტაჟის განხორციელებისას გასათვალისწინებელი იქნება ის ფაქტიც, რომ მესამე სართულის კედლების თუ მის ზემოთ არსებული კონსტრუქციებისა და რკინა-ბეტონის სარტყლის დემონტაჟისას გამორიცხული იქნება ამოღებულ-დემონტირებული მასალებისა და ნაგვის თავმოყრა სართულის ფართებზე და უნდა განხორციელდეს მათი ჩამოხიდვა პირველ სართულზე ეზოში (შიგა მხარეს) თითქმის უწყვეტლივ. შესაბამისად მიზანშეწონილი იქნება ამოღებული მასალებისა თუ ნაგვის ჩამოტანა დახრილი-დახურული მიწების გამოყენებით, რომლებიც ალბათ მოეწყობა რამდენიმე წერტილიდან. ეზოში კი მოხდება განცალკევება სარეალიზაციოდ ვარგისი მასალისა და ნაგვისა და შესაბამისად მათი გატანა გარკვეული პერიოდულობით (სამუშაოს მწარმოებლის შეხედულებისამებრ).

როგორც წესი, დემონტაჟი განხორციელდება ზემოდან ქვემოთ და დემონტაჟისთანავე ძირითადი კორპუსის კედლისა თუ იატაკის მასალები ჩამოიზიდება ეზოში. ამ შენობის კედლების (ტუფის ქვისა და ბლოკის) დემონტაჟი შესაძლებელია განხორციელდეს ხელის შრომის იარაღებითა და პნევმოჩაქუჩის დახმარებით, რომელიც ასევე გამოსაყენებელი იქნება

რკინა-ბეტონის სარტყლების დემონტაჟისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება რკინა-ბეტონის სარტყლის გარკვეული მონაკვეთები უშუალოდ იქნეს ჩამოტანილი ამწის გამოყენებით ეზოს ტერიტორიაზე, თუ ის გათავისუფლებამდე დაჭერილი იქნება ამწის მეშვეობით. გარკვეული ანალიზის შედეგად იკვეთება ის გარემოება, რომ კოლეჯის ძირითადი (სამ სართულიანი) კორპუსის დემონტაჟისას ამწე გამოყენებული იქნება მხოლოდ გარკვეული პერიოდულობით და მისი დემონტაჟი განხორციელდება ძირითადად მუშა პერსონალის ხელის შრომის იარაღებით და პნევმო ჩაქუჩის გამოყენებით.

რაც შეეხება საწარმოო კორპუსს, გამომდინარე იქიდან, რომ ის ძირითადად მოწყობილია რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით მისი დემონტაჟისათვის საწყისი ეტაპიდანვე ე.ი. სახურავის დემონტაჟის განხორციელებიდანვე აუცილებელი იქნება პნევმოთვლიანი ამწე, რომ შენობის სახურავზე არსებული (ე.წ. ПКЖ) გადახურვის ფილები ჩამოტანილნი იქნენ ეზოში ან ჩამოღებისთანავე გაიტანონ ტერიტორიიდან. ასევე ამწის გამოყენებით მოხდება რკინა-ბეტონის რიგელებისა და სვეტების დემონტაჟი. ხოლო ამ შენობის კედლების დემონტაჟი განხორციელდება მუშახელის ძალის გამოყენების მეშვეობით, მას შემდეგ, რაც დემონტირებული იქნება კედლებში არსებული ფანჯრები და რკინის გისოსები.

საგულისხმოა ისიც, რომ როგორც კოლეჯის ძირითადი კორპუსის პირველი სართულის, ასევე საწარმო კორპუსის კედლების დემონტაჟისას სადემონტაჟო საქმის მწარმოებელმა გამოიყენოს ეშვიუანი ექსკავატორი (ე.წ. „კოდალა“) იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრავს, რომ სარეალიზაციოდ ვარგისი საშენი მასალის ამოღება შეუძლებელი იქნება, თანაც ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვნად შემცირდება შენობების აღნიშნული ნაწილების დემონტაჟისათვის განსაზღვრული დროის პერიოდი. არც ის ქმედებაა გამორიცხული, რომ კოლეჯის ძირითადი კორპუსის ზედა სართულების დაშლის შედეგად არსებული მასა (საშენი მასალა და ნაგავი) დაგროვდეს ამ შენობის პირველ სართულზე, პირველ სართულზე არსებული ხის ელემენტების მოხსნის შემდეგ და პირველი სართულის ნანაგრევებთან ერთად (მისი ეშვიანი ექსკავატორით დაშლის შემთხვევაში) ზედა სართულის მასაც ერთიანად იქნეს ალებულ-გატანილი ტერიტორიიდან ნაგვის სახით, თუ, რა თქმა უნდა, საშენი მასალა ტუფის ქვა და ბლოკი არ იქნება სარეალიზაციოდ ვარგისი. ამ შემთხვევაშიც გაადვილებული იქნება ძირითადი კორპუსის კედლების დაშლის პროცესი და შესაბამისად შემცირებული იქნება დემონტაჟის პერიოდი იმ პირობების გათვალისწინებით, რომ ამ შენობის იატაკი დასუსტებულია, რის გამოც მასზედ კედლების დაშლის შედეგად მიღებული მასალებისა თუ ნაგვის დაგროვება ფაქტობრივად გამორიცხული იქნება და კედლების დაშლის შედეგად მიღებული მასის გადატანა დამშლელებს მუდმივ რეჟიმში მოუწევთ სატრანსპორტო დახრილ მიღებამდე. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია შედგენილმა სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტმა განიცადოს გარკვეული ცლილებები უშუალოდ სამუშაოს მიმდინარეობის პროცესში და ამას განსაზღვრავს უშუალოდ დემონტაჟის მწარმოებელი დამკვეთთან შეთანხმებით, თანაც

დემონტაჟის მწარმოებლისთვის შესაძლებელია პროცესის წარმოების განმსაზღვრელი აღმოჩნდეს ფინანსური მხარეც (სამუშაოები წარმართოს რაც შეიძლება ეკონომიურად).

მიზანშეწონილად მიმაჩნია აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ერთი შეხედვითაც აშკარაა ზემოთხსენებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შედეგად სარეალიზაციოდ ვარგისი ამოსაღები მასალების სახეობები იქნება შეზღუდული, თანაც არც ისე დიდი რაოდენობით და შესაბამისად დემონტაჟის განმახორციელებლისათვის ამ შენობების დემონტაჟი შესაძლოა არაეფექტურიც იყოს, რის გამოც ის ეცდება განახორციელოს ეფექტური (ფინანსურად) სამუშაოები, რა თქმა უნდა, თავისი შეხედულება-გამოცდილების შესაბამისად.

აქვე იმასაც შევნიშნავ, რომ კოლეჯის ძირითადი კორპუსის დემონტაჟის შედეგად შესაძლებელი იქნება რეალიზებული იყოს წვრილი სამშენებლო ბლოკი, რომელზე დაკვირვებითაც შეინიშნება, რომ მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი იქნება მცირე პროცენტი (20-25%), პირველ-მეორე სართულის კედლებში არსებული ტუფის ქვის რეალიზაცია თითქმის შეუძლებელია დღევანდელ პირობებში როგორც მასალის და არ გამოვრიცხავ ის საქველმოქმედოდ გადაეცეს თუნდაც ეკლესიების მშენებლობისათვის. ამავე კორპუსის დემონტაჟის შედეგად სარეალიზაციოდ ვარგისად ამოღებული იქნება ხის მასალა (მცირე რაოდენობით) და შეშა, მესამე სართულის იატაკზე და ჭერზე არსებული 2T-სებრი ლითონის კოჭები და უკვე დასაწყობებული სახურავის თუნუქის საფარი და გათბობის ბატარეები (ჯართის სახით). დასაშვებია ისიც, რომ დემონტაჟის მწარმოებელმა მოახდინოს გამოუსადეგარი მასალის ნარჩენების რეალიზაცია სამშენებლო ბლოკის დამამზადებელ საამქროში, რითაც მიიღებს გარკვეულ შემოსავალს ან შეუმცირდება ხარჯები.

საწარმო კორპუსის დემონტაჟის შედეგად სარეალიზაციოდ გამოსაყენებლად ვარგისი იქნება რკინა-ბეტონის გადახურვის ფილები (ე.წ. ПКЖ), რკინა-ბეტონის კონსტრუქციები (რიგელები, სვეტები და ფერმები), ფანჯრებზე არსებული რკინის გისოსები (ჯართის სახით) და რკინის 2T-სებრი კოჭები.

მას შემდეგ რაც უკვე მოხდება ორივე (ძირითადი და საწარმო) კორპუსის (თავისივე მიშენებებით) დემონტაჟი მიწის დონემდე, აუცილებელი გახდება ეშვიანი ექსკავატორის გამოყენება ეზოში არსებული ბეტონის საფარის, ძირითადი კორპუსის პირველი სართულის ფართის ნაწილის იატაკისა და საწარმო კორპუსის იატაკის მოსანგრევად. ასევე ე.წ. „კოდალა“ იქნება გამოყენებული ამ შენობების ფუნდამენტების (სადირკვლების) დანგრევისათვის. იმასაც შევნიშნავ, რომ დემონტაჟის პროცესში აუცილებელი იქნება ბულდოზერ-ექსკავატორისა და თვითმცლელი თუ ბორტიანი ავტომანქანების გამოყენებაც, მუშახელი კი ცალკეულ შემთხვევებში გარდა ხელის იარაღებისა გამოიყენებს პნევმატურ სანგრევ ჩაქუჩს, ელ. სანგრევ ჩაქუჩს და ელექტრო ჭრის მექანიზმებს. მათი რაოდენობებიც განსაზღვრული იქნება დემონტაჟის განმახორციელებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს სირთულის შესაბამისად.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ დემონტაჟის დაწყებამდე სამუშაოს შემსრულებელმა აუცილებლად უნდა მოაწიოს სადემონტაჟო ტერიტორიის შემოფარგვლა

(შესაძლოა სხვადასხვა სახის ღობეებით) და ტერიტორიაზე განათავსოს ასევე დროებითი შენობა-ნაგებობაც.

მას შემდეგ კი, რაც უკვე მოვახდინე გარკვეული სახის ანალიზი შესასრულებელი სადემონტაჟო სამუშაოს შესახებ, რათა უფრო აღქმადი ყოფილიყო სამუშაოს არსი დასკვნის გამცნობათვის, მოვახდენ ჩემს წინაშე დასმული საკითხის უშუალო განხილვას. კერძოდ, გამომდინარე იქიდან, რომ სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის (ამ შემთხვევაში შენობა-ნაგებობების) საწყისი ღირებულება განისაზღვრება მისი დემონტაჟის შედეგად ამოღებული გამოსაყენებლად ვარგისი მეორადი მასალების საერთო სარეალიზაციო ღირებულებების და მისი დემონტაჟისთვის გასაწევი ხარჯების სხვაობით, აუცილებელია განისაზღვროს სადემონტაჟო შენობების (კოლეჯის ძირითადი და საწარმოო კორპუსების) დემონტაჟისათვის გასაწევი ხარჯი და სავარაუდოდ ამოღებული სარეალიზაციოდ ვარგისი მასალების სარეალიზაციო ღირებულებები.

შევნიშნავ იმასაც, რომ ზემოთხსენებული ორივე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის პროცესი წარმართული იქნება პარალელურ რეჟიმში და გათვლა-გაანგარიშებებს ვაწარმოებ საორიენტაციოდ ჩასატარებელი სამუშაოებისა თუ სარეალიზაციოდ ვარგისი მასალების მოცულობებისა და ღირებულებების დაფიქსირებისას.

ზემოაღნიშნულის განთვალისწინებით კი ცალ-ცალკე წარმოვადგენ მონაცემებს სადემონტაჟო სამუშაოებისა თუ სარეალიზაციო მასალების ღირებულებების შესახებ ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში.

სადემონტაჟო სამუშაოების ჩამონათვალი გასაწევი ხარჯებით:

№	შესასრულებელი სამუშაოს დასახელება და ხანგრძლივობა	მოცულობა	მუშახელი	დღიური ანაზღაურება (ლარი)	ტექნიკა	დღიური ანაზღაურება (ლარი)	გასაწევი ხარჯი (ლარი) სულ
1	2	3	4	5	6	7	8
კოლეჯის ძირითადი კორპუსის დემონტაჟი							
1	ტერიტორიის შემოღვარ-გელა სხვადასხვა სახის ღობითა (5 დღე) მასალა	5 კაცი	30				750.0 1500.0
2	დროებითი შენობა-ნაგებობის მოწყობა (3 დღე) შენობა-ნაგებობისათვის მასალა ან დროებითი ვაგონი	5 კაცი	30				450.0 600.0

1	2	3	4	5	6	7	8
3	მესამე სართულის თავზე არსებული რკინა- ბეტონის სარტყლის მოხსნა (4 დღე)	350 გრძ.მ.	10 კაცი	30	ამწე (2 დღე)	250	1700.0
4	მესამე სართულის ჭერის დემონტაჟი და ჩამოტანა (4 დღე)	950 კვ.მ.	10 კაცი	30			1200.0
5	მესამე სართულის კედლების დემონტაჟი და ჩამოტანა (10 დღე)	1100 კვ.მ.	10 კაცი	30			3000.0
6	მესამე სართულის იატაკის დემონტაჟი- გამოტანა (5 დღე)	950 კვ.მ.	10 კაცი	30	ამწე (2 დღე)	250	2000.0
7	მეორე სართულის თავზე არსებული რკინა- ბეტონის სარტყლის მოხსნა-ჩამოტანა (4 დღე)	350 გრძ.მ.	10 კაცი	30	ამწე (2 დღე)	250	1700.0
8	მეორე სართულის კედლების დემონტაჟი- გამოტანა (10 დღე)	1100 კვ.მ.	10 კაცი	30			3000.0
9	მეორე სართულის იატაკის დემონტაჟი- გამოტანა (6 დღე)	950 კვ.მ.	10 კაცი	30			1800.0
10	პირველი სართულის თავზე არსებული რკინა- ბეტონის სარტყლის დაშლა-ჩამოტანა (4 დღე)	350 გრძ.მ.	10 კაცი	30	ამწე (2 დღე)	250	1700.0
11	პირველი სართულის კედლების დემონტაჟი (10 დღე)	1100 კვ.მ.	10 კაცი	30			3000.0
12	დაფრთხილი მასალებიდან ვარგისის შუერჩევა-დასაწყობება (4 დღე)		10 კაცი	30	ამწე (1 დღე)	250	1450.0
13	პირველი სართულის იატაკის მოშლა- გამოტანა (4 დღე)	950 კვ.მ.	10 კაცი	30	„კოდალა“ (1 დღე)	800	2000.0
14	ამოღებული მახალისა და წაგვის დატვირთვა- გატანა ტერიტორიიდან (6 დღე)		10 კაცი	30	ბუღდოზ. - მსკეფულ. (1 ცალი) თევზიანგ. ავტომან. (4 ცალი)	400 300	1800.0 2400.0 7200.0

1	2	3	4	5	6	7	8
15	შენობის ფუნდამენტში არსებული მასალების დაშლა-ამოღება (4 დღე)		5 კაცი	30	„კოდალა“ (2 დღე) ბულდოზ.- ექსკავ. (2 დღე)	800 400	1600.0 600.0 800.0
16	ტერიტორიის მოსუფთავება და ნარჩენების გატანა (3 დღე)		10 კაცი	30	ბულდოზ.- ექსკავ. (5 დღე) თვითმც. ავტომან. (4 ცალი 1 დღე)	400 300	900.0 400.0 1200.0
	სულ:						42750.0
საწარმოო კორპუსის დემონტაჟი							
1	სახურავის გასუფთავება ლინოკრომისაგან და გამოტანა (5 დღე)	1000 კვ.მ.	8 კაცი	30			1200.0
2	რკინა-ბეტონის ფილების შეერთებების გასუფთავება (2 დღე)		8 კაცი	30			480.0
3	სახურავის ფილების დემონტაჟი-ჩამოტანა- დასაწყობება (4 დღე)		8 კაცი	30	ამწე (4 დღე)	250	1960.0
4	რკინა-ბეტონისა და სახურავის სხვა მასალების დემონტაჟი- ჩამოტანა (3 დღე)		8 კაცი	30	ამწე (2 დღე)	250	980.0
5	შენობის კედლებისა და რკინა-ბეტონის სვეტების დემონტაჟი- გამოტანა (12 დღე)		8 კაცი	30	ამწე (2 დღე)	250	2880.0 500.0
6	ვარგისი მასალების შერჩევა-დასაწყობება და ნარჩენების გატანა (3 დღე)		8 კაცი	30	ბულდოზ.- ექსკავატ. (2 დღე) ავტომან. 4 ცალი (2 დღე)	400 300	720.0 800.0 2400.0
7	იატაკისა და ფუნდა- მენტის ბეტონის ელემენტების დაშლა- ამოღება (2 დღე)		4 კაცი	30	„კოდალა“ (2 დღე) ბულდოზ.- ექსკავატ. (2 დღე)	800 400	240.0 1600.0 800.0
8	ნარჩენების გატანა და ტერიტორიის გასუფთავება (3 დღე)		4 კაცი	30	ბულდოზ.- ექსკავატ. (2 დღე) ავტომან. 4 ცალი (1 დღე)	800 300	240.0 1600.0 1200.0

	სულ:						17600.0
	მთლიანი ხარჯი:						60350.0
	ზედნადები ხარჯები 8%						4828.0
	მთლიანად						65178.0
	გეგმიური დაგროვება 6%						3910.68
	მთლიანად:						69088.68
	გაუთვალისწინებელი ხარჯი 10%						6908.87
	მთლიანად						78997.55
	დღგ 18%						13679.56
	მთლიანად						92677.1

სავარაუდოდ ვარგისი ამოღებული მასალების ჩამონათვალი ღირებულებებით

№	მასალის დასახელება	მოცულობა	ერთეულის სარეალიზაციო ღირებულება (ლარი)	საერთო სარეალიზაციო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5
1	წვრილი სამშენებლო ბლოკი	4000 ცალი	0.5	2000.0
2	2T-სებრი რკინის ძელები (16 სმ)	1800 გრძ.მ.	10	18000.0
3	ხის ფიცარი და კოჭი (მასალა) მეორადი	50 კუბ.მ.	120	6000.0
4	ხის სხვადასხვა სახის ელემენტები (საშემდეგ)	70 კუბ.მ.	30	2100.0
5	2T-სებრი რკინის ძელები (30 სმ)	100 გრძ.მ.	20	2000.0
6	რკინა-ბეტონის კონსტრუქციები (ფერმა, რიგელი, სვეტი)	200 გრძ.მ	10	2000.0
7	გადახურვის ფილები (ПВХ)	600 კვ.მ.	10	6000.0
8	ლითონის ელემენტები ჯართის სახით (სახურავის თუნუქი, გათბობის ბატარეები, ყოლობები და სხვა)	15 ტონა	250	3750.0
	სულ:			41850.0

როგორც ზემოაღნიშნულიდან დგინდება, კოლეჯის ძირითადი და საწარმო კორპუსების დემონტაჟისათვის გასაწევი ხარჯი შეადგენს 92677.1 (ოთხმოცდათორმეტიათასექვსასამოცდა-ჩვიდმეტი ლარი და 10 თეთრი) ლარს და სავარაუდოდ ამოღებული სარეალიზაციოდ ვარგისი მასალების საერთო ღირებულება განისაზღვრება 41850.0 (ორმოცდაერთიათასრვაას-ორმოცდაათი) ლარით. ე.ი. დემონტაჟის ღირებულება აჭარბებს მისაღები შემოსავლის ოდენობას.

ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს მთავრობის დადგენილებით (№239, 13.08.2010 წ.), „საქართველოს სახელმწიფრო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“. მიზანშეწონილი და ლოგიკურია ზემოაღნიშნული შენობის დემონტაჟის შედეგად მისაღები მეორადი ვარგისი ნაწილებისა და მასალების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 0 (ნული) ლარით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ ქ. თბილისში, წერეთლის გამზ. №134-ში არსებული პროფესიული სასწავლებელი თბილისის ხელოვნების კოლეჯის ძირითადი და საწარმოო კორპუსების ამჟამინდელი ღირებულება (აუქციონის წესით მათი რეალიზაციისას) უნდა განისაზღვროს 0 (ნული) ლარით.

- შენიშვნა: - ზემოაღნიშნული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების სახეობები და მოცულობები და დემონტაჟის შედეგად ამოღებული მასალების რაოდენობები სავარაუდოა და ისინი დაზუსტდება უშუალოდ სამუშაოების მიმდინარეობა-დასრულების პროცესში;
- გაანგარიშებებისას ჩათვლილია, რომ ზოგიერთი სახის ხელსაწყოები და ტექნიკა საქმის მწარმოებელი ფირმის ან დაქირავებული პერსონალის პირადი საკუთრებაა და ხარჯებში არ ჩავთვალე;
 - სადემონტაჟო სამუშაოების პერიოდი გათვლილი რამდენადმე (20%) მცირე პერიოდში, ვინაიდან შესაძლებელია სამუშაოები შეფერხდეს კლიმატური პირობების ან გამოსასვლელი დღეების ხარჯზე;
 - დასკვნას თან ერთვის შენობა ნაგებობების ამჟამინდელი იერსახის ამსახველი ფოტომასალა.

აუდიტორი:



/დ. რობაქიძე/





Handwritten signature